საეკლესიო იერარქიის მნიშვნელობა

მართლმადიდებლურ ტრადიციაში

ზურაბ ჯაში

ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური გამოწვევა, რომლის წინაშეც დღეს დგას საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, არის ეკლესიის რეალურ მართვა-გამგეობაში საერო პირთა მონაწილეობის არარსებობა. ეკლესიაში ყველა გადაწყვეტილება მხოლოდ მაღალი იერარქიის სასულიერო პირთა მონაწილეობით მიიღება, კერძოდ, ეპარქიის დონეზე ეპისკოპოსის ერთპიროვნული განჩინებებით, ხოლო მთელი ეკლესიის მასშტაბით - წმინდა სინოდის მიერ, სადაც ასევე პატრიარქს ენიჭება გადამწყვეტი ხმა, მაშინაც კი, როცა ფორმალურად ის მხოლოდ თანასწორთა შორის პირველად მიიჩნევა. როდესაც ისმევა საკითხი ეკლესიაში ამგვარი მკაცრად ავტორიტარული მმართველობის ლეგიტიმურობის შესახებ, იშველიებენ საეკლესიო ტრადიციას, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, არ კონკრეტდება. ამ მოხსენებაში განვიხილავ იმ ბედნიერ შემთხვევას, როდესაც მაინც მიეთითა კონკრეტულ ტექსტზე, რომელიც წარმოადგენს სავარაუდოდ მეხუთე საუკუნის მეორე ნახევრიდან მეექვსე საუკუნის პირველ ნახევრამდე პერიოდში უცნობი ავტორის, ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მიერ შედგენილ ნაშრომს, ეგრეთ წოდებულ „არეოპაგულ კორპუსს“.

ის შედგება ოთხი საღვთისმეტყველო ხასიათის ტრაქტატისგან და ათი ეპისტოლესგან. მათ შორის ერთ-ერთი ტრაქტატი დასათაურებულია როგორც „საეკლესიო იერარქიის შესახებ“.[1] ასევე, ეპისტოლეებიდან ერთ-ერთი, „ეპისტოლე დემოფილე მონაზვნის მიმართ“, განიხილავს იერარქიასთან ურთიერთობის პრაქტიკული ეთიკის საკითხებს. სწორედ ეს ტექსტი მოიხმო საქართველოს მეოთხე პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა 2018 წელს საჯარო გამოსვლისას იერარქიის, როგორც საეკლესიო ინსტიტუტის ხელშეუხებლობის დასასაბუთებლად. ქვემოთ, ვეცდები, ვაჩვენო ამ ტექსტის და განსაკუთრებით აღმოსავლურ ეკლესიაში მისი გვიანდელი რეცეფციის ინსტიტუციური ეკლესიის აპოლოგეტური მიზნებისთვის გამოყენების გაუმართლებლობა.

თავის საჯარო გამოსვლაში პრეზიდენტი მარგველაშვილი ფსევდო-დიონისეს ეპისტოლეზე დაყრდნობით ამტკიცებს: *„მაშინაც კი, როცა შენ ხარ მართალი, მაშინაც კი, როცა შენ იცავ სიწმინდეებს, იერარქიულად შენ ამ ქმედების უფლება არ გაქვს, რადგან იერარქიის დანგრევით შენ ანგრევ წესრიგს, ხოლო წესრიგის დანგრევას შეიძლება განუსაზღვრელი ბოროტება მოჰყვეს. ის (ფს.-დიონისე, ზ.ჯ.) ამბობს, რაც არ უნდა მცდარი იყოს შენი მოძღვარი, შენ არ გაქვს უფლება, რომ რამე გააკეთო. იმიტომ, რომ იერარქიულად მასზე ქვევით დგახარ“.*[2] <u>თუ ვიკითხავთ, რაში დასჭირდა ქვეყნის პირველ პირს საეკლესიო</u>

---

[1] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირველად ისტორიაში სწორედ ამ ნაშრომში გვხვდება ბერძნულენოვანი ნეოლოგიზმი „იერარქია“, რომელიც შემდეგ ევროპულ ენებში ამ ნაშრომის გავრცელებასთან ერთად დამკვიდრდა. ტერმინი „იერარქია“ სიტყვასიტყვით შეიძლება ითარგმნოს როგორც სიწმინდის დასაბამობა ან მოთავეობა, ძველ ქართულად მთლიანად კორპუსი მეთერთმეტე საუკუნეში თარგმნა ეფრემ მცირემ, რომელმაც ეს ტერმინი თარგმნა როგორც „მღვდელთმთავრობა“.

[2] ამონარიდები მოხსენებიდან მოყვანილია 2018 წლის 12 თებერვალს გამოცემული ჟურნალ „ლიბერალის“ სტატიიდან, „მარგველაშვილი: მნიშვნელოვანია იერარქების პატივისცემა, მისი დანგრევით ინგრევა წესრიგი“. ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: http://liberali.ge/articles/view/34244/margvelashvili-mnishvnelovania-ierarqiebis-pativistsema-misi-dangrevit--ingreva-tsesrigi.

იერარქიის დაცვა, ბოლო დაახლოებით ოცდაათი წლის განმავლობაში სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობებზე დაკვირვება საქართველოში ცხად პასუხს გაგვცემს: საზოგადოებაში ეკლესიისადმი განსაკუთრებით მაღალი ნდობის გათვალისწინებით ამომრჩეველთა ხმების მოგება და ამით ძალაუფლების რაც შეიძლება ხანგრძლივად და მტკიცედ შენარჩუნება. სამწუხაროდ, ასეთი მიდგომა იქცა ყველა თანამედროვე ქართველი ხელისუფალის ურყევ მანკიერ ტრადიციად.

საინტერესოა, რომ იერარქიის არეოპაგული დოქტრინის მსგავსი ინტერპრეტაცია გვხვდება ცნობილი სოციოლოგის, პიერ ბურდიეს სტატიაში. ბურდიე განიხილავს ფს.-დიონისეს ორ ტრაქტატს - „ზეციური იერარქიის შესახებ", რომელშიც ანგელოზთა დასების იერარქიაზეა საუბარი, და ზემოხსენებულ ტრაქტატს „საეკლესიო იერარქიის შესახებ". ის იძლევა ამ იერარქიული სტრუქტურის შემდეგ სოციოლოგიურ ანალიზს:

„არის რა ყველა დანარჩენის ზუსტი ხატება, თითოეული იერარქია - პაპი, კარდინალები, მთავარეპისკოპოსები, ეპისკოპოსები, დაბალი სამღვდელო დასის კლიროსი; იმპერატორი, მთავარნი, ჰერცოგები და სხვა ვასალები - საბოლოო ჯამში, არის ღმერთის მიერ დადგენილი კოსმიური წესრიგის მხოლოდ ერთი ასპექტი, და ამდენად მარადიული და უცვლელი. სხვადასხვა წესრიგს შორის ასეთი სრულყოფილი შესაბამისობის დადგენით . . . რელიგიური იდეოლოგია ქმნის ლოგიკური აუცილებლობის გამოცდილების ამ ელემენტარულ ფორმას, რასაც აყალიბებს ანალოგიის პრინციპით აზროვნება, როდესაც ის აერთიანებს დაყოფილ სამყაროებს".[3]

ზეციური ანუ კოსმიური და საეკლესიო იერარქიების ამგვარი უწყვეტი ურთიერთგადაბმის შედეგად ხდება „ფარდობითის აბსოლუტიზაცია და შემთხვევითის ლეგიტიმაცია", რადგან უცვლელი კოსმიური იერარქია მიიჩნევა სოციალური და საეკლესიო იერარქიის საფუძვლად, რითაც ასავე ხდება პოლიტიკური წესრიგის „ნატურალიზაცია".[4] მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ არეოპაგელის ტექსტების ყურადღებით წაკითხვის შედეგად ვითარება გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ამას წარმოგვიდგენს ბურდიეს მიერ აღწერილი სურათი, რასაც ის უწოდებს „ლოგიკის სოციალურ წესრიგად ტრანსმუტაციას".[5] სინამდვილეში, როგორც ქვემოთ დავინახავთ, არეოპაგელს სულაც არ განუზრახავს იერარქიის ლოგიკა პირდაპირ ითარგმნოს სოციალურ წესრიგში ძალაუფლების სტრუქტურად, მაშინაც კი, როცა თავად ავტორი ზოგჯერ ცდილობს ამის გაკეთებას.

მოდით, შევხედოთ უშუალოდ ტექსტებს. „დემოფილე მონაზვნის მიმართ" ეპისტოლეში საუბარია ვინმე დემოფილეს მიერ ეკლესიაში მღვდლის მიმართ ჩადენილი ფიზიკური ძალადობის შესახებ. ეპისტოლეს ავტორი მოკლედ გადმოსცემს თვითონ დემოფილეს მიერ მოთხრობილ საკუთარ საქციელს:

„შენ კი, როგორც ცხად ჰყოფს შენი წერილი, მიუვარდი მღვდელს, როგორც თქვი, უწმინდურს და ცოდვილს და - არ ვიცი, როგორ აიღე შენს თავზე - გააგდე. შემდეგ ის გევედრებოდა და აღიარებდა, რომ მანკიერებათა სამკურნალოდ იყო მოსული. მაგრამ შენ არ შეძრწუნდი, არამედ ის კეთილი მღვდელიც თავხედურად ლამის დაგლიჯე, რომელიც მონანულისადმი მოწყალე იყო და ამართლებდა იმ უწმინდურს. ბოლოს მღვდელს

[3] Pierre Bourdieu, „Genesis and Structure of the Religious Field," *Comparative Social Research. A Research Annual: Religious Institutions*, ed. by C. Calhoun, Vol. 13 (1991): 1-44, 32.
[4] *იქვე.*
[5] *იქვე.*

უთხარი: ‚გადი გარეთ შენნაირებთან ერთად!‘ და შევარდი წმინდა ადგილას, რისი უფლებაც არ გქონდა, და დაამცირე[6] წმინდათა წმინდა. ჩვენ გვწერ: „მოსალოდნელი შერყვნისგან გადავარჩინე წმინდა ნაწილები და დღემდე უბიწოდ ვიცავ მათ“.[7]

ფსევდო-დიონისე ამგვარ ქმედებას შემდეგნაირად აფასებს:

„ახლა კი მოისმინე ჩვენი სიტყვა. არ არის კანონიერი შენზე აღმატებული ან შენივე დასისგან ღვთისმსახური მღვდლის გამოსწორება. თუნდაც საღვთო საკითხებთან დაკავშირებით უწმინდურად იქცეოდეს, ან თუნდაც სხვა რამ აკრძალულს სჩადიოდეს. რადგან თუკი უსახური და უწესოა უსაღვთოესი განჩინებებიდან და კანონებიდან გადახვევა, ღვთის წინაშე გაუმართლებელია ღვთისგან გადმოცემული წესრიგის დამხობა“.[8]

შემდეგ ის განმარტავს, თუ რას გულისხმობს ამ „წესრიგში“:

„[წმინდათა წმინდას] უპირატესად მიეახლება სიწმინდის სრულმქმნელთა დასი (ὁ τῶν ἱεροτελεστῶν διάκοσμος), შემდეგ მღვდლების დასი, რომელსაც მოჰყვება ღვთისმსახურთა დასი (ἡ τῶν λειτουργῶν).[9] ხოლო მონაზონთა (θεραπευταῖς) შორის განწესებულთათვის საწმინდარის ის კარები დახურულია, რომელთა წინაშეც იღებენ კურთხევას და დგანან, არათუ მათგან დასაცავად, არამედ წესრიგისა და საკუთარი თავის შესაცნობად, რათა ხალხთან უფრო ახლო იყვნენ“.[10]

პირველივე წაკითხვისას, ცხადია, რომ ავტორი გაუმართლებლად მიიჩნევს არა მხოლოდ დემოფილეს ძალადობრივ ქმედებას, არამედ ზოგადად მასზე აღმატებული სამღვდელო ხარისხის მქონე პირის გამოსწორების მცდელობას. ამ რჩევის მიცემისას ფს.-დიონისეს მთავარი საზრუნავია იერარქიული წესრიგის დაცვა. თითქოს აქ აშკარაა ბურდიეს თეზისის მართებულობა იერარქიული ლოგიკის სოციალურ წესრიგში გარდაქმნის შესახებ, რაც იერარქიის ზედა საფეხურზე მყოფთ ანიჭებთ ლეგიტიმურ ძალაუფლებას, ხოლო ქვედა საფეხურზე მყოფთ ართმევთ ამ ძალაუფლების კრიტიკის უფლებას. კონკრეტული შემთხვევის ავტორისეული შეფასება სხვა ინტერპრეტაციის საშუალებას არც იძლევა. მაგრამ საკითხავია, თუ რამდენად ერთგულია ავტორი იერარქიის საკუთარი კონცეფციისადმი, ამ შემთხვევაში მისი პრაქტიკული გამოყენებისას. ამის გასაგებად, საჭიროა, უფრო ფართოდ შევხედოთ თვითონ იერარქიის ავტორისეულ კონცეფციას, რისთვისაც უნდა გადავიდეთ მის ტრაქტატზე, „ზეციური იერარქიის შესახებ“.

---

[6] συνέστειλας - მრავალი სხვადასხვა მნიშვნელობით შეიძლება გავიგოთ. ტექსტის სქოლიასტი ჩამოთვლის შესაძლო მნიშვნელობებს: დაამდაბლა, დააკნინა, ან თან წაიღო.

[7] ფს.-დიონისე არეოპაგელი, *ეპისტოლე* 8.1. 1088B 2-1088C. ტექსტი ითარგმნა შემდეგი გამოცემიდან: Ps.-Dionysius Areopagita, *De Coelesti Hierarchia, De Ecclesiastica Hierarchia, De Mystica Theologia, Epistulae*, 2. Auflage, hrsg. G. Heil, A. M. Ritter (Berlin, 2012), 175.

[8] *იქვე,* 1088C - 1088C 3. Ps.-Dionysius Areopagita, *De Coelesti Hierarchia, De Ecclesiastica Hierarchia, De Mystica Theologia, Epistulae*, 2. Auflage, hrsg. G. Heil, A. M. Ritter (Berlin, 2012), 175-176.

[9] ამ უკანასკნელში იგულისხმება დიაკონთა საეკლესიო ხარისხი.

[10] ფს.-დიონისე არეოპაგელი, *ეპისტოლე* 8.1. 1088D-1089A. Ps.-Dionysius Areopagita, *De Coelesti Hierarchia, De Ecclesiastica Hierarchia, De Mystica Theologia, Epistulae*, 2. Auflage, hrsg. G. Heil, A. M. Ritter (Berlin, 2012), 176.

აქ ფს.-დიონისე პარალელს ავლებს ეკლესიის გარეგნული მოწყობის პედაგოგიურ დანიშნულებასა და ადამიანის გონების სულიერ განათლებას შორის:

> *„შეუძლებელია ადამიანის გონებისთვის ზეციური იერარქიების მიბაძვით მოწყობა, თუ მას არ ექნება ხილული და ნივთიერი წინამძღვარი, რომელიც მას შეეფერება, როდესაც ის გაიაზრებს მის ხილულ მშვენიერებას, როგორც ანარეკლს უხილავი ბრწყინვალებისა, გრძნობით კეთილსურნელებას, როგორც გონისმიერი წილმქონეობის ანაბეჭდს, ნივთიერ სინათლეს, როგორც არამატერიალური სინათლის ნიჭის ხატებას, წმინდა სწავლებებს, როგორც გონების გონისმიერ სრულყოფას, სასულიერო პირთა გარეგნულ დასებს, როგორც სახეს გონების ჰარმონიული და მოწესრიგებული ჩვეულებისა, რომელიც მოწყობილია ღვთისმსახურებისათვის, და ჩვენს ზიარებას უწმინდესი ევქარისტიისა, როგორც იესოსთან ზიარებას“.*[11]

როგორც ვხედავთ, ავტორისთვის იერარქიული წესრიგი წარმოადგენს არათუ სოციო-პოლიტიკური ძალაუფლების წყობას, არამედ ღმერთის შემეცნების პედაგოგიურ პროგრამას. აქ ეკლესიის იერარქიული სტრუქტურა პირველ რიგში რეალიზდება ლიტურგიულ მსახურებაში და არა ადმინისტრაციულ საქმიანობაში. ის წარმოგვიდგება ერთგვარ ჰოლოგრაფიულ გამოსახულებად, რომელიც სიმბოლურად აირეკლავს კოსმიურ იერარქიას და მისი მეშვეობით მიგვიძღვის ღმერთის გონისმიერი სინათლის შემეცნებისკენ. ამ შემთხვევაში, თვითონ ლიტურგიის შემსრულებელ ღვთისმსახურთა ზნეობრივი მდგომარეობა ისევე ნაკლებად მნიშვნელოვანია, როგორც, მაგალითად, რომელიმე სპექტაკლის როლის შესრულებისას მსახიობის პირადი ცხოვრება. ამ დროს მაყურებლისთვის ხომ პირველ რიგში შესრულებული როლის ესთეტიკას ენიჭება მნიშვნელობა? აქედან გამომდინარე, დიონისესთვის მთავარია ლიტურგიის სიმბოლური სტრუქტურის შენარჩუნება, მაგრამ არა იმიტომ, რომ ის თავისთავად არის ღირებული, არამედ მისთვის მნიშვნელოვანია ამ სტრუქტურაში ჩართული პიროვნების ღვთის შემმეცნებელი გონება, რომელიც არ უნდა იქნას მოკლებული ღვთის შემეცნებისთვის დამხმარე საშუალებას ანუ იერარქიას. აქ საქმე გვაქვს რიტუალის ისეთ გაგებასთან, რასაც ზეკე მაზური უწოდებს „შინაგან რიტუალს“, განსაზღვრულს, როგორც სუბიექტური ცნობიერების „გამოცდილებით შინაარსს, რომლის ნიმუშად დევს გარეგნული რიტუალური ქმედებები“.[12]

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენს ავტორს სრულებით არ აღელვებს ამ სიმბოლური როლების შემსრულებელ სამღვდელო პირთა ცხოვრება და მათი სულიერი მდგომარეობა. იმავე დემოფილესადმი ეპისტოლეში ის პირდაპირ წერს:

„ამრიგად, თუკი სამღვდელო დასის მოვალეობა არის განმანათლებლობა (ἡ φωτιστική), ვინც არ გაანათლებს და მით უფრო, თვითონ გაუნათლებელია, სამღვდელო ხარისხისა და ძალისგან სრულებით განვრდომილია (παντελῶς ἀποπέπτωκε τῆς ἱερατικής τάξεως καὶ δυνάμεως). და ვფიქრობ, რომ ასეთი პირი თავხედურად ჰკიდებს ხელს სამღვდელო საქმეს, არ ეშინია

---

[11] ფს.-დიონისე არეოპაგელი, *ზეციური მღვდელმთავრობის შესახებ,* I. 3. ტექსტი ითარგმნა შემდეგი გამოცემიდან: Ps.-Dionysius Areopagita, *De Coelesti Hierarchia, De Ecclesiastica Hierarchia, De Mystica Theologia, Epistulae*, 2. Auflage, hrsg. G. Heil, A. M. Ritter (Berlin, 2012), 8-9.

[12] Zeke Mazur, „Unio Magica: Part II: Plotinus, Theurgy, and the Question of Ritual“, *Dionysius, Vol. XXII*, (2004), 29-55, 44.

და არც რცხვენია, რომ წესის დარღვევით აღასრულებს ღვთისმსახურებას. მას ჰგონია, რომ ღმერთი უმეცარია იმისა, რაც მან თავადაც უწყის საკუთარი თავის შესახებ. ფიქრობს, რომ მას მოატყუებს, როდესაც მას სიცრუით მამას უწოდებს. ის ბედავს, ქრისტეს მიბაძვით საღვთო საიდუმლოებებზე წარმოთქვას მძიმე მკრეხელობები (რადგან მათ არ ვუწოდებ ლოცვებს). ის არ არის მღვდელი, არ არის, არამედ არის მტერი, მატყუარა, საკუთარი თავის მასხარა და ღვთის ერში ბატკნად გადაცმული მგელი".[13]

ეს სრულიად ლოგიკურად გამომდინარეობს ღვთისმსახურების, როგორც შინაგანი რიტუალის, გაგებიდან: თუკი რიტუალის დანიშნულებაა ინდივიდის ცნობიერების განვითარება ღმერთის შემეცნებისაკენ, მაშინ მას არ გააჩნია ამ ცნობიერებისგან დამოუკიდებელი „ობიექტური" მნიშვნელობა. შესაბამისად, საეკლესიო ცხოვრების სიმძიმის ცენტრი მოთავსებულია ინდივიდის სულიერ მდგომარეობაში, რომელიც მის პიროვნულ თავისუფალ ნებაზე და, აქედან გამომდინარე, ზნეობრივ წარმატებაზეა დამოკიდებული. ეს მდგომარეობა კი თანაბრად ეხება როგორც მრევლს, ისე იერარქიის წევრებს.

საინტერესოა, რომ „არეოპაგული კორპუსის" ეკლესიოლოგიის რეცეფცია აღმოსავლურ ეკლესიაში სწორედ ამ ბოლო ციტატის შუქზე განვითარდა. მეათე საუკუნეში ბიზანტიაში ერთ-ერთი უდიდესი ავტორიტეტის მქონე წმინდანს, სვიმონ ახალ ღვთისმეტყველს დიონისეს წაკითხვიდან სამღვდელო ძალაუფლებასთან დაკავშირებით რადიკალური დასკვნა გამოაქვს:

„ასე რომ, ცოდვათა მიტევების უფლება ღმერთს არ მიუნიჭებია მონაზვნებისთვის მათი სქემის გამო, არც ხელდასხმულთ და სამღვდელო დასში შერაცხილთ ან საეპისკოპოსო ხარისხით პატივდებულთ - ვგულისხმობ პატრიარქებს, მიტროპოლიტებს და ეპისკოპოსებს - უბრალოდ მათი ხელდასხმისა და პატივის გამო. შორს ასეთი აზრისგან! რადგან მათთვის მხოლოდ ღვთისმსახურების აღსრულებაა დაშვებული, და ვფიქრობ, ესეც არა მრავალი მათგანისთვის, რათა ბალახივით არ დაიწვნენ, არამედ ეპისკოპოსთაგან, მღვდელთაგან და მონაზონთაგან მხოლოდ მათ მიეცათ, ვინც საკუთარი სიწმინდის გამო ირაცხება ქრისტეს მოწაფეთა კრებულში (τοῖς τῶν μαθητῶν τοῦ Χριστοῦ χοροῖς διὰ τὴν ἁγνότητα)".[14]

სხვაგან ის პირდაპირ უპირისპირებს მონაზონთა პიროვნულ სიწმინდეს ეპისკოპოსთა კანონიკურ ძალაუფლებას, რისი გამოძახილიც დაახლოებით ამავე პერიოდის საქართველოშიც გვხვდება წმინდა გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრებაში".[15]

დასკვნის სახით ვიტყვით, რომ არეოპაგელის მიხედვით, თუკი სამღვდელო ხარისხის ლეგიტიმურობას განსაზღვრავს პიროვნული ზნეობრივი მდგომარეობა, ხოლო, მეორე მხრივ, ღვთისმსახურებისას მორწმუნე მრევლის მიერ მიღებული მადლი დამოკიდებულია

---

[13] *ეპისტოლე* 8, 2.3. 1092B 15 - 1092C 9. Ps.-Dionysius Areopagita, *De Coelesti Hierarchia, De Ecclesiastica Hierarchia, De Mystica Theologia, Epistulae*, 2. Auflage, hrsg. G. Heil, A. M. Ritter (Berlin, 2012), 180-181.

[14] *ეპისტოლე I. 340-345.* კრიტიკული ტექსტის გამოცემა: H.J.M. Turner (ed.), *The Epistles of St. Symeon the New Theologian* (N.Y.: Oxford University Press, 2009), 54-56. რეცეფციის შესახებ უფრო ვრცლად იხ. Alexander Golitzin, „Hierarchy versus Anarchy? Dionysius Areopagita, Symeon the New Theologian, Nicetas Stethatos, and Their Common Roots in Ascetical Tradition", *St. Vladimir's Theological Quarterly* 38 (1994): 131-179.

[15] Levan Abashidze (ed.), *Georgian Hagiographic Literature: Original Texts and Translations into Modern Georgian, vol II*, Tbilisi, 2007, p. 491, pp. 509-511.

თვითონ მორწმუნის ცნობიერებაზე, საეკლესიო მადლმოსილების სიმძიმის ცენტრი, ვებერისეული ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, გადაინაცვლებს ინსტიტუციიდან პიროვნულ ქარიზმაზე. ამ შემთხვევაში, მართალია, ინსტიტუტის კანონიკურ სტრუქტურას აქვს უაღრესად მნიშვნელოვანი პედაგოგიური დანიშნულება, ურომლისოდაც მორწმუნის ცნობიერება ვერ ვითარდება ღვთის შემეცნებისაკენ (თუ რატომ, ეს ცალკე ვრცელი მსჯელობის თემაა), მაგრამ ის, როგორც ასეთი, არ ქმნის მადლის ეფექტს პიროვნებისთვის, არამედ ეს შეუძლია მხოლოდ ინდივიდუალურ ცნობიერებაში განხორციელებულ ინტიმურ ურთიერთობას ღმერთსა და პიროვნებას შორის. ამგვარი პიროვნული ურთიერთობისგან დაცლილი, ხისტ ინსტიტუციად დეგრადირებული ეკლესია აუცილებლად კარგავს გამომხსნელ მადლს, რისი თვალსაჩინო გამოვლინება ძალადობის სახეს იძენს. ყველა სახის ძალადობა ქრისტეს სახელით, რაც კი ისტორიას ახსოვს, იქნება ეს ერეტიკოსთა დევნა ინკვიზიციის მიერ, განსხვავებული რწმენის თუ ცხოვრების წესის მქონე პირთა (მაგალითად, ჰომოსექსუალთა) დევნა-შევიწროება თუ რელიგიური ომები, სხვა არაფრის შედეგი ყოფილა, თუ არა ეკლესიაში პიროვნული სულიერების მნიშვნელობის დაკნინებისა და მის ნაცვლად ეკლესიის მიერ საყრდენად პოლიტიკური ძალის დასახვისა. ამ მხრივ, ნიშანდობლივია, რომ შუა საუკუნეების ისეთი დიდი მისტიკოსები, როგორებიც იყვნენ მარგარეტ პორეტე და მაისტერ ეკჰარტი, ერეტიკოსებად იქნენ შერაცხილნი.[16]

რაც შეეხება უშუალოდ იერარქიის არეოპაგიტულ კონცეფციას, საბოლოო ჯამში, შესაძლებელია მისი ორი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია იმის მიხედვით, თუ მისი ეკლესიოლოგიის რომელ ასპექტზე კეთდება აქცენტი. ერთ შემთხვევაში, აქცენტი კეთდება ეკლესიის კანონიკური სტრუქტურის აუცილებელ პედაგოგიურ დანიშნულებაზე, როგორც ამას ვხედავთ დემოფილესადმი ეპისტოლეში. მეორე შემთხვევაში კი, იკვეთება პედაგოგიაში ჩართული სამღვდელო და საერო პირთა ინდივიდუალური ცნობიერება, როგორც ეს ხდება ამ ნაშრომის წაკითხვის წმინდა სვიმონ ახალ ღვთისმეტყველისეულ და მთელ შემდგომ მართლმადიდებლურ საღვთისმეტყველო ტრადიციაში. მაგრამ ორივე შემთხვევაში ცხადია ერთი რამ, ეკლესიის კანონიკური სტრუქტურა ანუ იერარქია არ წარმოადგენს ძალაუფლების წესრიგს, რომელსაც იძულების სახით უნდა დაემორჩილონ საერო პირები. მართლმადიდებლური ეკლესიის ტრადიცია ცალსახად გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს პიროვნების სინდისის თავისუფლებას და შესაბამისად, უღირსი იერარქისთვის ლეგიტიმაციის ჩამორთმევას. ამრიგად, დღევანდელ საქართველოს ეკლესიაში იერარქიისათვის მინიჭებული უპირობო ძალაუფლება ვერ პოულობს გამართლებას მისსავე ეკლესიოლოგიურ ტრადიციაში.

[16] პორეტესგან განსხვავებით, რომელიც ინკვიზიციამ კოცონზე დასაწველად გაიმეტა, ეკჰარტმა, მისი ერთ-ერთი მკვლევრის სიტყვებით, სასამართლოს იმქყვენად გაქცევით გაასწრო.